



64 წლის ქალი კავერნოზული ტუბერკულოზით



12 თებერვალი, 2013

ვიზიტი ოჯახის ექიმთან

ოჯახის ექიმს მიმართა პაციენტმა, რომელიც 3 კვირაა უჩივის სუბფებრილურ ტემპერატურას, საერთო სისუსტეს, ოფლიანობას და ხველას მცირე რაოდენობის ნახველით. ბოლო 3 დღეა, აქვს ჰექტიური ტემპერატურა.

აუსკულტაციით ვეზიკულური სუნთქვა შესუსტებულია, მარცხენა ფილტვის ზემო წილის პროექციაზე სუნთქვა არ ტარდება.

გულმკერდის რენტგენოგრაფიით მარცხენა ფილტვის მწვერვალი ჰიპოვენტულირებულია, ლავიწის არეში ფიქსირდება ინფილტრაციული კერები, I ნეკნთაშუა სივრცეში აღინიშნება განათების უბანი.

ოჯახის ექიმმა პაციენტი ტუბერკულოზზე საექვოდ მიიჩნია და შესაბამისი ფორმა 100-ით ფთიზიატრის კონსულტაციაზე გაგზავნა.

რამდენად დროულად გამოვლინდა ტუბერკულოზზე საექვო პაციენტი პირველადი ჯანდაცვის ქსელში?

პაციენტმა პირველადი ჯანდაცვის ქსელს ტუბერკულოზზე საექვო ნიშნების მანიფესტირებიდან 3 კვირის შემდეგ მიმართა. ოჯახის ექიმმა ანამნეზისა და რენტგენოლოგიური კვლევის საფუძველზე ექვი ტუბერკულოზზე მართებულად მიიტანა და ხელოვნური ბარიერების გარეშე, პირველივე ვიზიტის შემდეგ, პაციენტი ფთიზიატრთან გაგზავნა. ამრიგად, მოცემული შემთხვევა ინფორმირებული პაციენტის დროული გამოვლენის კარგი მაგალითია და წარმატებულ მკურნალობასთან ერთად დაავადების ტრანსმისიის რისკის შემცირების წინა პირობასაც ქმნის.





14-20 თებერვალი, 2013

ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა ფთიზიატრიულ ქსელში და უკუკავშირი ოჯახის ექიმთან

14 თებერვალს პაციენტმა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიმართა ტუბკაბინეტს, სადაც ჩატარებული ბაქტერიოლოგიური და განმეორებითი რენტგენოლოგიური კვლევის საფუძველზე დაისვა დიაგნოზი: A15.0 მარცხენა ფილტვის კავერნოზული ტუბერკულოზი ინფილტრაციის ფაზაში, მგბ(+), ახალი შემთხვევა, სენსიტიური ფორმა (20.02.13).

პაციენტმა პირველად ჯანდაცვის ქსელში წარადგინა ფთიზიატრის მიერ შევსებული ფორმა 100 და ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობა ამბულატორიულ რეჟიმში დაიწყო.

რამდენად დროულად დაისვა ტუბერკულოზის დიაგნოზი ფთიზიატრიულ ქსელში და როგორია უკუკავშირი პირველად ჯანდაცვის ქსელთან?

ფთიზიატრიულ ქსელში აქტიური ტუბერკულოზის სრული დიაგნოსტიკა, პრეპარატებისადმი მგრძობელობის განსაზღვრის ჩათვლით უმოკლეს ხანში, 4 სამუშაო დღეში დასრულდა. პაციენტის აქტიური ტუბერკულოზით ავადობის შესახებ დოკუმენტირებული შეტყობინება ოჯახის ექიმმაც დაუყოვნებლივ მიიღო და საჭიროების შემთხვევაში შეძლებს ჩაერთოს კონტაქტის ჯგუფში დაავადების გავრცელების პრევენციასა თუ პაციენტის მიერ მკურნალობისადმი კარგი დამყოლობის უზრუნველყოფაში, ეს ყოველივე ერთად აღებული კი ხელს შეუწყობს ტუბერკულოზის მართვის ხარისხის გაუმჯობესებას.

